

## საქართველოს კანონი

„საქართველოს საზღვაო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს საზღვაო კოდექსში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წელი - №25-26) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8.

საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია (შემდგომში - ადმინისტრაცია) ახორციელებს საზღვაო დარგის ტექნიკურ რეგულირებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.“

2. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 9.

ადმინისტრაცია:

ა) საქართველოს სახელით ახორციელებს დროშის სახელმწიფო და საზღვაო ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და გამოცემს ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს.

ბ) ქმნის მებღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების ერთიან სისტემას;

გ) ახორციელებს სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელობას და სახელმწიფო მელამხედველობას უწევს ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისა და ზღვის დაბინძურების ლიკვიდაციის ორგანიზაციას.

3. მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 11.

1. საზღვაო გზებისა და სანაღვიგაციო საშუალებების განლაგებისა და მოქმედების მონაში წყლის სიერცისა და მიწის ნაკვეთის გამოყოფა, აგრეთვე მშენებლობა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ადმინისტრაციასთან, ხოლო ამ კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში - ნავსადგურის კაპიტანთან შეთანხმებით.

2. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც დაარღვევენ ამ მუხლით გათვალისწინებულ წესებს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, და ადმინისტრაციის მოთხოვნით ვალდებული არიან მითითებულ ვადაში საკუთარი ხარჯებით აილონ, გადაიგანონ ან გადააკეთონ შენობა-ნაგებობანი, რომლებიც ხელს უშლიან ნაოსნობას და/ან სანაღვიგაციო საშუალებათა მოქმედებას“.

4. 30-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრისა და საქართველოს გემების სახელმწიფო წიგნის წარმოების წესებს შეიმუშავებს და გამოსცემს ადმინისტრაცია.“

5. 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკლასიფიკაციო საზოგადოების მელამხედველობას დაუქვემდებარებელი გემების

ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებს მცირეგონაკიანი გემების ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული ინსპექცია ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად.

6. 35-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 35.

შიგა ნაოსნობის გემების ზღვაში გასვლის მოთხოვნებს და ნაოსნობის საზღვრებს აწესებს საკლასიფიკაციო საზოგადოება ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. “.

7. 36-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გემის ეკიპაჟისა (ეკიპაჟის განრიგი) და გემზე მყოფ მგზავრთა სიების შედგენა, გემის, რადიოსადგურისა და სამანქანო ეურნალის წარმოება ხდება ადმინისტრაციის მიერ დადგენილი ფორმითა და წესით. “

„3. სანიტარიული ეურნალის წარმოება ხდება იმ ფორმითა და წესების დაცვით, რომელთაც გამოცემს ადმინისტრაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.“

8. მე-40-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს სახელმწიფო აღმით ნაოსნობის უფლებას, გემის საკუთრების მოწმობას და რადიოსადგურის ლიცენზიას გასცემს ადმინისტრაცია.“

„4. საკლასიფიკაციო საზოგადოების ნებართვით და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ბოგიერთი კატეგორიის გემს შეიძლება არ ჰქონდეს განზომილებათა მოწმობა ან მოწმობა საგვირთო მარკის შესახებ. “

9. 47-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. წოდებების მინიჭება ხდება ადმინისტრაციაში გამოცდების ჩაბარების შემდეგ, რაც დასტურდება სათანადო დიპლომითა და საკვალიფიკაციო მოწმობით.“

„4. საქართველოს სახელმწიფო აღმით მცურავი სამგზავრო გემის კაპიტანის თანამდებობის დაკავება შეუძლია კაპიტანის წოდების მქონე პირს სპეციალური გამოცდების ჩაბარებისა და ადმინისტრაციის სპეციალური კოლეგიის მიერ დამტკიცების შემდეგ. “

10. 62-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ადმინისტრაცია ზღვაოსნობის უსაფრთხოებისათვის, გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებისა და შრომის დაცვის მიზნით განსაზღვრავს ეკიპაჟის მინიმალურ დასაშვებ შემადგენლობას, რომლის შემდეგაც შეიძლება გემის ზღვაში გასვლა.“

11. 69-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 69.

საერთაშორისო კონვენციებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გემის ეკიპაჟი ვალდებულია პირნათლად ასრულებდეს დაკისრებულ მოვალეობას, ნაოსნობის უსაფრთხოების, ზღვის გარემოს დაცვის, გვირთის უდანაკარგოდ გადაგანის, გემის გამართული ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნების საქმეში ასრულებდეს კაპიტანის განკარგულებებს და მოთხოვნებს, ხელმძღვანელობდეს ადმინისტრაციის

სამართლებრივი აქტებითა და კომპანიის წესებით.“

12. 71-ე მუხლის პირველი პუნქტი ამოღებულ იქნას და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საზღვაო ნავსადგურის უფროსი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. 75-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ამოღებულ იქნას.

14. 77-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საზღვაო ნავსადგური, თავისი წესებიდან გამომდინარე, ფუნქციონირებს სანავსადგურო წესების შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს ადმინისტრაცია.“

15. მე-80-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ნაოსნობის უსაფრთხოებაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს საზღვაო ნავსადგურის კაპიტანი, რომელიც ხელმძღვანელობს ნავსადგურის ზედამხედველობის სამსახურს, შეღის ადმინისტრაციის უშუალო დაქვემდებარებაში და მოქმედებს ადმინისტრაციის მიერ დამტკიცებული დებულებით, აქვს ვიმპელი, ბეჭედი და თავისი ბალანსი.“

16. 81-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საზღვაო ნავსადგურის კაპიტანს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის უფროსი.“

17. 87-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საზღვაო სალოცმანო სამსახურის დებულებას ამტკიცებს ადმინისტრაცია. სალოცმანო სამსახური ექვემდებარება ნავსადგურის კაპიტანს, რომელიც ნიშნავს და ათავისუფლებს ლოცმანს.“

18. 88-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 88.

სახელმწიფო-საზღვაო ლოცმანად (შემდეგში-“ლოცმანი“) შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს 1600 სარეგისტრაციო გონაზე მეტი საერთო ტევადობის გემის კაპიტანის დიპლომი, ადმინისტრაციის საკვალიფიკაციო კომისიას ჩააბარებს გამოცდას დადგენილი პროგრამით, აქვს გემზე მუშაობისათვის საჭირო ჯანმრთელობა და იცის გემის სამართავად საკმარისი ინგლისური ენა.“

19. 89-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ადმინისტრაცია დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებთან შეთანხმებით ადგენს სავალდებულო და არასავალდებულო სალოცმანო გაცილების რაიონებს, გემების კატეგორიებს, რომლებიც არ ექვემდებარებიან აუცილებელ სალოცმანო გაცილებას და საყოველთაო გაცნობისათვის აქვეყნებს ლოცმანებსა და “ზღვაოსანთა უწყებებში“. “

20. 95-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გემზე მისვლისას ლოცმანი ვალდებულია კაპიტანს წარუდგინოს ადმინისტრაციის მიერ

დამტკიცებული სალოცმანო მოწმობა და სალოცმანო ქვითარი. “

21. 99-ე მუხლი ამოღებულ იქნას.

22. 104-ე მუხლი ამოღებულ იქნას.

23. 110-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 110.

ჩაპირული სამხედრო ქონების ამოღებას, მოცილებას ან განადგურებას ახდენენ საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალები ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. “

24. 116-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გვირთის მიღება, შემოტანა ან გატანა შეიძლება აკრძალოს ადმინისტრაციამ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს პრეზიდენტს და სხვა დაინტერესებულ პირებს.“

„2. გადასაზიდად გვირთის მიღების აკრძალვა, დროებით შეჩერება ან შეზღუდვა შეიძლება შემოღებულ იქნეს გარკვეული მიმართულებით კონკრეტული ნავსადგურიდან ან კონკრეტულ ნავსადგურამდე გადაზიდვისას. ამის შესახებ ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ აცნობებს გვირთის გამგზავნსა და შესაბამის უწყებებს. “

„3. სტიქიური მოვლენების, მარცხისა და ავარიის, ასევე კარანტინის გამოცხადების შემთხვევაში, როდესაც შეწყვეტილია მოძრაობა, ნავსადგურის კაპიტანის განკარგულებით შეიძლება დროებით შეჩერდეს ან შეიზღუდოს გვირთის მიღება, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ადმინისტრაციას, რომელიც განსაზღვრავს გვირთის მიღების დროებით შეჩერებისა და/ან შეზღუდვის ვადებს და აქვეყნებს "ზღვაოსანთა უწყებებში". “

25. 153-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში მიმღების მიერ გვირთის მიღება-შენახვის წესები და ვადა, აგრეთვე მიმღების მიერ მოუკითხავი გვირთის გაყიდვა ხდება ადმინისტრაციის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.“

26. 163-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 163.

ფრახგი და სხვა გადასახდელები, რომლებიც ერგება გადამზიდავს, აგრეთვე გადახდის ვადა განისაზღვრება გვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებით. გამგზავნი ან მიმღები ვადაგადაცილებული ფრახგისათვის საურავს იხდის გვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების შესაბამისად.“

27. 169-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. იმ შეღავათებისა და მომსახურების წესებს, რომელთა მიღების უფლება აქვს მგზავრს, ამტკიცებს ადმინისტრაცია.“

28. 170-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მგზავრს, რომელმაც აცნობა გადაწყვანს სამღვაო გადაყვანის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, უფლება აქვს უკან დაიბრუნოს მგზავრობის და ბარგის გადაზიდვის საფასური, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის, ვადისა და ოდენობის ფარგლებში“.

**29. 173-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 173.

თუ შესანახად ჩაბარებული ბარგი არ იქნა მოთხოვნილი გემის ნავსადგურში შესვლიდან ექვსი თვის განმავლობაში, იგი შეიძლება გაიყიდოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესით.“

**30. 206-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. იპოთეკის აღრიცხვის წესს ადგენს აღმინისტრაცია.“

„4. აღმინისტრაცია ვალდებულია დამგირავებელს მიაწოდოს ამონაწერი საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრიდან, მოთხოვნისას კი - ასევე მოგირავნესა და სხვა დაინტერესებულ პირებსაც.“

**31. 305-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ამ მოწმობის გაცემის, შემოწმების და აღიარების პირობებსა და წესებს ადგენს აღმინისტრაცია.“

**32. 316-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ამ მოწმობის გაცემის, შემოწმების, აღიარების პირობებსა და წესებს განსაზღვრავს აღმინისტრაცია.“

**33. 320-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 320.

ბირთვულ გემს საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და ნავსადგურებში შესვლა შეუძლია მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის ნებართვით. საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და ნავსადგურებში ბირთვული გემის კონტროლს ახორციელებს აღმინისტრაცია და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი